საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 255

2019 წ. "18" 12

ქ.თბილისი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი 2019 წლის 12 აგვისტო, №1038632; №1042177) ანგლისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №827 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 17 ოქტომბრის №971 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 29-30 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 02 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 18 დეკემბერს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 12 აგვისტოს №1038632 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ანგლისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 18 დეკემბრის №69 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) დაემატოს სწავლების / სწავლის მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპერსონალური უნარების განვითარებაზე;

ბ) პროგარამაში გათვალისწინებულ იქნეს სხვა ტიპის შეფასებაც. ეს, ალბათ, წარმოშობს აუდიტორიაში გამოყენებული მეთოდოლოგიების ცვლილების საჭიროებას. თუმცა, სამაგისტრო პროგრამის დონეზე, სტუდენტების ყველა უნარი უნდა შეფასდეს და ამისთვის საჭიროა სხვა გზების ძიებაც, გარდა გამოცდებისა.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 01 ივლისამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 30 დეკემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს

თავმჯდომარე

მდივანი

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

სხდომის მდივანი სალომე თოთიბაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ანგლისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 10 დეკემბერი, №255
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
8	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
10	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
11	კვალიფიკაციის კოდი[7]	100502
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 1400, ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. 53, სასწავლო კორპუსი 1
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 30 დეკემბერი
16	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 01 ივლისამდე)
17	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 30 დეკემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი